ევროკავშირი/ევროპის
საბჭო

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

Parteneriatul Estic Şərq tərəfdaşlığı Partenariat Oriental Արևելյան Գործընկերություն
Східне партнерство Eastern Partnership აღმოსავლეთ პარტნიორობა

მართლმსაჯულების გაძლიერება
ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლა
თანასწორობის წახალისება და
დისკრიმინაციასთან ბრძოლა
ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლა და მათთვის
მართლმსაჯულებაზე წვდომის გაუმჯობესება

ევროკავშირი
საქართველოსთვის

ევროკავშირი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

თანადაფინანსებულია
და ხორციელდება
ევროპის საბჭოს მიერ

ევროკავშირი და ევროპის საბჭო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან* ერთობლივი ძალისხმევით, ხელს უწყობენ მმართველობის გაძლიერებას, კანონის უზენაესობის განმტკიცებასა და მოქალაქეთა ცხოვრების გაუმჯობესებას. 2014 წელს მათ ერთობლივი ინიციატივა წამოიწყეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის - პროგრამა „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის.“ ეს პროგრამა უზრუნველყოფს ქვეყნების საშინაო რეფორმების განხორციელების მხარდაჭერას მართლმსაჯულების გაძლიერების, ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის, თანასწორობის ხელშეწყობის და დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მართლმსაჯულებაზე ქალთა წვდომის გაუმჯობესებისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, ევროპული სტანდარტების შესაბამისად. პროგრამა შეიქმნა ევროკავშირთან და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კონსულტაციის შედეგად, ევროპის საბჭოს კონკრეტული ქვეყნების სამოქმედო გეგმებისა და ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონისთვის არსებული პრიორიტეტების შესაბამისად. პროგრამის მიმდინარე ეტაპი, 2023 წლიდან 2027 წლამდე პერიოდს მოიცავს და წინა ფაზების განმავლობაში მიღწეულ შედეგებსა და პროგრესს ეფუძნება, (I ფაზა: 2015-2018; II ფაზა 2019-2023). საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკისა და უკრაინისათვის ძირითადი მიზანი ევროკავშირში გაწევრიანების პრიორიტეტების განხორციელებაში პროგრესი იქნება. პროგრამა ასევე გააგრძელებს სომხეთისა და აზერბაიჯანის მხარდაჭერას. ბელორუსის დემოკრატიულ ძალებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის ორგანიზება კი, საჭიროებისამებრ იქნება შესაძლებელი.

წინა ფაზის განმავლობაში მიღწეული შედეგები:

- **წარმატებით განხორციელდა საკვანძო სასამართლო რეფორმები და გაუმჯობესდა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა, ხარისხი და ეფექტიანობა.**
- **გაუმჯობესდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება.**
- **გაუმჯობესდა მართლმსაჯულებაზე წვდომა, განსაკუთრებით ქალების, ბავშვებისა და ყველაზე დაუცველი ჯგუფებისთვის.**
- **გაძლიერდა თანამშრომლობა ადვოკატთა ასოციაციებს შორის, მათი ფუნქციონირებისა და დამოუკიდებლობის გაუმჯობესებისათვის, მოქალაქეთა უკეთესი სამართლებრივი დაცვის მიზნით.**

გაუმჯობესდა პოლიტიკის, ინსტიტუტებისა და პრაქტიკის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან, ვენეციის კომისიის მოსაზრებებთან და მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სტანდარტებთან (CEPEJ).

---

* მიუხედავად იმისა, რომ „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ არ მოიცავს აქტივობებს ბელორუსის ხელისუფლების მონაწილეობით, ევროკავშირის 2020 წლის ოქტომბრის დასკვნებში დაფიქსირებული ბელორუსის საჯარო ორგანოებთან და სახელმწიფო საწარმოებთან თანამშრომლობაზე უარის თქმის პოლიტიკის შესაბამისად, შესაძლებელია ორგანიზებული იყოს აქტივობები ბელორუსის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების და დემოკრატიულ ინსტიტუტების ჩართულობით, ევროპის საბჭოს 2022 წლის თებერვლის დასკვნებისა და ევროპის საბჭოს მინისტრების მოადგილეების 2022 წლის მარტის გადაწყვეტილების შესაბამისად.

- გაძლიერდა ბენეფიციარ ქვეყნებში კორუფციის, ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და აქტივების ამოღებისა და დაბრუნების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პოლიტიკა.
- გაძლიერდა ანტიკორუფციული და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური ორგანოების ინსტიტუციური შესაძლებლობები, კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ხელშეწყობის კუთხით, ევროპის საბჭოს რეკომენდაციებისა და ევროპული სტანდარტების შესრულების მიზნით.
- გაძლიერდა რეგიონული თანამშრომლობა, კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, ეროვნულ დონეზე არსებული ხარვეზებისა და რეგიონული გამოწვევების აღმოსაფხვრელად.

აღმოიფხვრა ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) და კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) შეფასებების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები.

- გაუმჯობესდა ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა და კანონმდებლობის თანხვედრა ევროპულ სტანდარტებთან.
- ბენეფიციარ ქვეყნებში გაძლიერდა თანასწორობის ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობები, მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისათვის დისკრიმინაციის შესახებ საჩივრების წარმოებაში ქმედითი დახმარების გაწევის გზით, შესაბამისი რეაგირების მექანიზმების მეშვეობით.
- ბენეფიციარ ქვეყნებში გაუმჯობესდა დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილის დანაშაულის შესახებ მონაცემთა შეგროვების სისტემები.
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) შესაბამისად გაუმჯობესდა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ქალებისა და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის, რამაც თავის მხრივ, წვლილი შეიტანა სტამბოლის კონვენციის ხელმოწერისა და რატიფიკაციის ხელშეწყობაში.
- გაიზარდა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და შესაძლებლობები დისკრიმინაციასთან ბრძოლისა და ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების შემუშავებაში.

შესრულდა რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) რეკომენდაციები, ისევე როგორც ეროვნული უმცირესობების ჩარჩო კონვენციის (FCNM) და რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის (ECRML) მონიტორინგის შედეგად მიღებული რეკომენდაციები, და ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების სტანდარტები, მათ შორის სტამბულის კონვენციის და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნები.

ბენეფიციარ ქვეყნებს კონსულტაციები გაეწიათ სწრაფი რეაგირების მექანიზმის მეშვეობით პრიორიტეტულ რეფორმებთან დაკავშირებულ კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავების თაობაზე, რომლებიც ევროკომისიის საკანონმდებლო ანალიზის ჩატარების შესახებ თხოვნაზე რეაგირების მიზნით უნდა გატარდეს, მონაწილე ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ვენეციის კომისიის კომპეტენციის შემავალ სფეროებში, როგორიცაა საარჩევნო კანონმდებლობა (სომხეთი, საქართველო და მოლდოვას რესპუბლიკა), საკონსტიტუციო ცვლილებები (სომხეთი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა, უკრაინა), კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ (სომხეთი), პარლამენტის კანონშემოქმედებითი პროცედურების კონსტიტუციური გადასინჯვა (მოლდოვას რესპუბლიკა), ასევე მედიის სფეროში (აუდიო-ვიზუალური მედია სერვისების შესახებ კოდექსში ცვლილებების შეტანა - მოლდოვას რესპუბლიკა) და ევროპის საბჭოს მედია დეპარტამენტის მიერ მომზადებული სამართლებრივი ექსპერტიზის დასკვნები მასმედიის შესახებ კანონში (სომხეთი) ცვლილებების შესახებ.

რა არის პროგრამის მიზნები?

- მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების გაძლიერება მართლმსაჯულების რეფორმის სფეროში მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის გაუმჯობესებული მექანიზმების მეშვეობით.
- კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და ანტიკორუფციული მექანიზმების გაძლიერება და სასამართლო სფეროში საკვანძო რეფორმების განხორციელებაში პროგრესის მიღწევა.
- დასახული ქმედებებით მოქალაქეების ცხოვრების არსებითად გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა.

როგორ მიაღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს?

- **საჭიროებებზე მორგებული და მოთხოვნაზე ორიენტირებული მხარდაჭერით, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოების შემდგომი გაუმჯობესებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის გასაუმჯობესებლად.**
- ამ მიზნით, პროგრამის აქტივობები მოიცავს ტექნიკურ მხარდაჭერასა და ექსპერტიზას, სამართლებრივ ექსპერტიზას, დარგობრივ შეფასებებს, ცნობიერების ამაღლებას და შესაძლებლობების განვითარებას ოთხივე თემატურ სფეროში.
- პროგრამის მესამე ფაზის ფარგლებში მთავარი ყურადღება მიმართული იქნება ბენეფიციარი ინსტიტუტების მდგრადობაზე და პროგრამის მიზნების გათავისებაზე.
- გენდერული მეინსტრიმინგის მიდგომა პროგრამის საკვანძო ელემენტია და აქტიურად იქნება გამოყენებული პარტნიორობა კარგი მმართველობის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში.
- რეგიონული ინტერვენციები უზრუნველყოფს კარგი პრაქტიკის ურთიერთგაცვლის პლატფორმას საერთო გამოწვევების დასაძლევად, ქსელების შექმნისა და რეგიონული თანამშრომლობის გასაძლიერებლად.
- პროგრამა განაგრძობს მეორე ფაზის ფარგლებში დანერგილი რამდენიმე კარგი პრაქტიკის გამოყენებას, მათ შორის შეინარჩუნებს მოქნილობას, რაც გადამწყვეტი გახლდათ წარმოქმნილი საჭიროებების დაკმაყოფილებისა და მრავალრიცხოვან გამოწვევებთან ადაპტაციისთვის, ხელს უწყობდა პროექტების მონაწილეობით და მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობის განხორციელებას.

წვლილი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში

„პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ და მისი პროექტების განხორციელებით, ევროპის საბჭოს წვლილი შეაქვს გაეროს 2030 მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებაში გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მხარდაჭერით, კერძოდ კი, SDG 5 გენდერული თანასწორობის მიღწევისა და ყველა ქალისა და გოგონას გაძლიერების მიზნით, SDG 10 უთანასწორობის შესამცირებლად ქვეყნებში და ქვეყნებს შორის, და SDG 16 მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად მდგრადი განვითარების მისაღწევად, ყველასთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების შესაქმნელად ყველა დონეზე.

„პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ მოკლე მიმოხილვა

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში 17 ადგილობრივი დონის და ოთხი რეგიონული პროექტი ხორციელდება.

პროგრამა „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ შემდეგ მიმართულებებს მოიცავს:

- მართლმსაჯულების გაძლიერება
- ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა
- თანასწორობისა ხელშეწყობა და დისკრიმინაციის აღკვეთა
- მართლმსაჯულებაზე ქალთა წვდომის გაუმჯობესება და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა

პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი 19,3 მლნ ევროს შეადგენს

(15 მილიონი ევრო უზრუნველყოფილია ევროკავშირის მიერ და 4,3 მილიონი ევრო ევროპის საბჭოს მიერ).

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის ორმხრივ მიდგომას ახორციელებს:

- ტექნიკური დახმარება, რომელიც უზრუნველყოფილია ბენეფიციარი ქვეყნების საჭიროებებზე მორგებით, ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის გაზრდის მისაღწევად. მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში, ეროვნული ინტერვენციები რეგიონული პროექტების ფარგლებში (რომლებიც ყველა ბენეფიციარ ქვეყანას მოიცავენ), ან რამდენიმე ქვეყნის მონაწილეობით ხორციელდება (რომლებიც ზოგიერთ ბენეფიციარ ქვეყანას მოიცავენ).
- სწრაფი რეაგირების მექანიზმი არის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც ევროპის საბჭო სპეციალურ (ad hoc) კონსულტაციებს სთავაზობს სამართლებრივ და პოლიტიკის საკითხებზე ბენეფიციარი ქვეყნების თხოვნების საპასუხოდ. ეს თხოვნები შეიძლება ეხებოდეს პროგრამის ოთხი თემატური მიმართულებიდან რომელიმე ერთ მიმართულებას, მაგრამ ასევე შეიძლება ეხებოდეს სხვა საკითხებს, რომლებიც ვენეციის კომისიის და ევროპის საბჭოს სხვა ორგანოების მანდატის ფარგლებში ხვდება.

„პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ არის რეგიონული პროგრამა, რომელიც მიმართულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებაზე მათი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. პროგრამის განხორციელების პერიოდია 2023- 2027 წლები.

პროგრამა მოიცავს პროექტებს სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვას რესპუბლიკასა და უკრაინაში. ბენეფიციარ ქვეყნებს დახმარებას უწევენ ტექნიკური თანამშრომლობით შიდა რეფორმების განხორციელების ხელშესაწყობად, 2014 წელს ხელმოწერილი ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს განზრახვათა შესახებ განცხადებაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის საკოორდინაციო გუნდი,
პროგრამის კოორდინაციის დირექტორატი
ევროპის საბჭო
Avenue de l'Europe, F-67075 Strasbourg Cedex, France

ელექტრონული ფოსტა: dpc_pgg@coe.int
ვებგვერდი: **http://partnership-governance-eu.coe.int/**

PREMS 051624 – Photos : Shutterstock

KAL

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, ერთმანეთს დაუკავშირონ თავიანთი ნოუ- ჰაუ, რესურსები და ბედი. ერთად, მათ ააშენეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ზონა და ამასთანავე, შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ინდივიდუალური თავისუფლებები. ევროკავშირი მზადაა, საკუთარი მიღწევები და ღირებულებები გაუზიაროს ქვეყნებსა და ადამიანებს მის საზღვრებს გარეთ.

www.europa.eu

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

www.coe.int

ევროკავშირი
საქართველოსთვის

ევროკავშირი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

თანადაფინანსებულია
და ხორციელდება
ევროპის საბჭოს მიერ